ხელშეკრულება №253

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 17 აგვისტო 2016 წელი

ერთი მხრივ, შპს ,,სპორტმშენსერვისი" (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ტარყაშვილის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „ჩემი ოფისი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თემურ დავითაშვილის სახით სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

<u>ხელშეკრულების საგანია</u>: 2 (ორი) ერთეული პრინტერის კარტრიჯების (MyCart CE 278A) **CPV-30125100** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა : **190 (ასოთხმოცდაათი ლარი) ლარი**, ერთეულის ღირებულებაა 95 (ოთხმოცდათხუთმეტი ლარი) ლარი;

3. **ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (ლარში);

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებისა და შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის საფუძველზე;

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. **საქონლის მიწოდება და მიღება ჩაბარების წესი**

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე - ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, ახალი სპორტის სასახლე;

4.2 საქონლის მიწოდება დასტურდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით;

4.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი ლევან ტარყაშვილი;

შემსყიდველი მიმწოდებელი

5. **მხარეთა უფლება-მოვალეობები**

5.1 <u>შემსყიდველს უფლება აქვს :</u>

- ნებისმიერ დროს განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე (ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი – რევაზ გოგეშვილი);

5.2 <u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>

- უზრუნველყოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები;

5.3 <u>მიმწოდებელს უფლება აქვს:</u>

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

5.4 <u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

- მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით მისთვის დადგენილი ყველა პირობა;
- წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 2 დღის ვადაში მიაწოდოს საქონელი.

6. **ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება**

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ინსპექტირებას ახორციელებს შპს „სპორტმშენსერვისი"-ს წარმომადგენელი რევაზ გოგეშვილი;

6.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი საქონლის ხარისხის კონტროლს;

6.3 საქონელიში გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის (ნაკლში/ხარვეზში იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც გაწეული საქონელი ვარგისი არ არის ჩვეულებრივი სარგებლობისათვის) აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, თუ ამგვარი ნაკლის/ხარვეზის არსებობა გამოწვეულია უშუალოდ მიმწოდებლის ქმედებით/უმოქმედობით.

7. **ხელშეკრულების პიროებების შეუსრულებლობა**

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, იმ მხარეს რომელსაც არ დაურღვევია ვადები უფლებამოსილია ამ ვადის/ების დამრღვევ მხარეს დააკისროს პირგასამტხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით;

7.2 იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, ვალდებულების არადამრღვევი მხარე უფლებამოსილია ცალსახად შეწყვიტოს ხელშეკრულება, დამრღვევი მხარისათვის წინასწარ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

შემსყიდველი

მიმწოდებელი

7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

8.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;

8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. ამგვარი გარემოებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი გარემოებებით: ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, სხვა სტიქიური უბედურებები, ომი, საომარი მოქმედებები, გაფიცვები, სახელმწიფო და მმართველობის ორგანოების მიერ ისეთი ნორმატიული აქტების

9.3 აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაჭრის გზები

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით;

12. მხარეთა რეკვიზიტები

შ.პ.ს „სპორტმშენსერვისი“ საიდენტიფიკაციო კოდი: 204878542 მის:ქ.თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ.#9 იურ. მის.: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., #49ა საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი“–ს ცენტრალური ფილეალი ბანკის კოდი: BAGAGE 22 ანგარიშის ნომ: GE17BG0000000624570700	შპს „ჩემი ოფისი“ საიდენტიფიკაციო კოდი: 401997112 მის: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. №8 საბანკო რეკვიზიტები: სს “თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE 22 ანგარიშსწორების ანგარიში: GE28TB7539736080100001

დირექტორი: ლ. ტარყაშვილი

დირექტორი: თ. დავითაშვილი

შემსყიდველი

მიმწოდებელი